საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოტანასთან დაკავშირებით დიდი გაქანებისა და მნიშვნელობის მუშაობა მოგველის. საჭიროა პროექტის განხილვა ორგანულად დავუკავშიროთ ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმისათვის მზადებას — საბჭოთა ხალხი ხომ განიხილავს დოკუმენტს, რომელშიც აისახა რევოლუციის ძირითადი მონაპოვრები, ჩვენს მიერ განვლილი ახალი საზოგადოების მშენებლობის გზა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 103 (5912) 28 მაისი. შაბათი. 1977 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ჩვენი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

ჩვენი საბჭოთა სამშობლო ემზადება საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. ხვდებიან რა ამ სახელოვან იუბილეს, საბჭოთა ადამიანები ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში. მათ უსაზღვროდ სწამთ მშობლიური პარტიის, მისი საქმე საკუთარ საქმედ მიაჩნიათ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს: პარტიას არა აქვს იმაზე დიდი ინტერესები, ვიდრე ხალხის ინტერესებია.

ამის დამაჯერებელი და ნათელი დადასტურებაა 24 მაისს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხები:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ;

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, ძირითადად მოიწონა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, და ეს საკითხი გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ამასთან ურჩია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი გამოიტანოს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, ტექსტი და მუსიკალური რედაქცია და შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში პლენუმზე ღრმად, მეცნიერულად არის დასაბუთებული ახალი კონსტიტუციის საჭიროება, ყოველმხრივ არის ნაჩვენები უდიდესი ცვლილებები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებასა და მთლიანად მსოფლიოში მოხდა 1936 წლიდან — სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროიდან. გაშუქებულია ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. დასახულია მისი პროექტის მომავალ საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებული ამოცანები.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რატომ გახდა საჭირო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ახლანდელი კონსტიტუციის მიღებიდან 40 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, მთელ ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ცვლილებები მოხდა.

საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება. დიდი პრინციპული ცვლილებები შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სადაც ახლა განუყოფლად ბატონობს სოციალისტური საკუთრება. შეიქმნა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც სოციალიზმის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეხამების საფუძველზე ვითარდება.

შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახეც.

გარდაიქმნა მუშათა კლასი, რომლის რიგებში დღეს ათეულ მილიონობით განათლებული, ტექნიკურად წიგნიერი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანია. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი საზოგადოებრივი აქტიურობა, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა. გარდაიქმნა გლეხობა, რომლის ფსიქოლოგია სოციალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. კოლმეურნე შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით, მისი განათლების დონე, ცხოვრების წესი ხშირად არც კი განსხვავდება ქალაქურისაგან. ჭეშმარიტად სახალხო, სოციალისტური გახდა ინტელიგენცია, იზრდება მისი ხვედრითი წონა ჩვენს საზოგადოებაში. ერთი სიტყვით, იზრდება საბჭოთა საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობა.

არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიურიც გახდა ჩვენში ერთა თანასწორობა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ ახლა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. თანდათანობით იშლება არსებითი განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის, უფრო მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

განვითარებული სოციალიზმის აშენებასთან, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მოსახლეობის ყველა ფენის გადასვლასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ იქცა.

ეყრდნობა რა მიღწეულს, ჩვენი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით, რომლის როლი თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა, ახალ ამოცანებს წყვეტს. ეს არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად თანდათანობით გადაზრდის, კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ამოცანები.

ძლიერ შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაც. ბოლო მოეღო ჩვენი სამშობლოს კაპიტალისტურ გარემოცვას. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად იქცა. არსებითად შესუსტდა კაპიტალიზმის პოზიციები. ყოფილი კოლონიების ადგილზე შეიქმნა ათობით ახალგაზრდა, სუვერენული სახელმწიფო. განუზომლად გაიზარდა საბჭოეთის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა. ამის შედეგად სულ სხვაგვარი გახდა ძალთა განლაგება მსოფლიო ასპარეზზე. შეიქმნა რეალური შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი. და თუმცა ასეთი ომის საფრთხე უკვე მნიშვნელოვნად შესუსტდა, ჯერ კიდევ დიდი მუშაობა, შეუპოვარი ბრძოლა მოგველის.

ყველა ეს ღრმა ცვლილება აისახა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია და შეესაბამება პარტიის დებულებებს, განსაკუთრებით მისი XXV ყრილობის დებულებებს. პროექტში შენარჩუნებული და განვითარებულია, ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ დასახული სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის დამახასიათებელი ნიშნები, აგრეთვე ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონის ბევრი პრინციპული დებულება.

ახალი კონსტიტუციის პროექტი განაზოგადებს საბჭოთა ისტორიის მთელ კონსტიტუციურ გამოცდილებას და ამ გამოცდილებას ახალი შინაარსით ამდიდრებს, რომელიც თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამება. იგი ეყრდნობა უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულ საბჭოთა კანონმდებლობის განახლებასა და სრულყოფას, იყენებს მოძმე სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციური განვითარების გამოცდილებას.

ასახავს რა ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს, პროექტი ადასტურებს, რომ სსრ კავშირში შეიქმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და რომ მისი უმაღლესი მიზანია, კომუნიზმის აშენება. მასში აღნიშნულია ჩვენი სახელმწიფოს საყოველთაო-სახალხო ხასიათი. მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წამყვანი და წარმმართველი როლის ვრცელი დახასიათება. შენარჩუნებულია პრინციპული დებულება, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

„... იმ ახლის მთავარი მიმართულება, რასაც პროექტი შეიცავს, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება“. უწინარეს ყოვლისა კიდევ უფრო განვითარდება საბჭოების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. განსაზღვრულია მასებთან საბჭოების, მათი დეპუტატების კავშირის განმტკიცების გზები. ფართოდ აისახა მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ქვეყნის ცხოვრებაში პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაციული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშრომელთა კოლექტივები ასრულებენ.

## „პრავდის“ 26 მაისის მოწინავე

მნიშვნელოვნად გამდიდრდა ახლანდელი კონსტიტუციის დებულებები საბჭოთა მოქალაქეების უფლებების შესახებ. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის საერთო პრინციპის გამოცხადებასთან ერთად გაღრმავდა, განვითარდა და გაფართოვდა დებულებები კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ, რომლებიც ეხება ადამიანთა ცხოვრების საფუძველთა საფუძველს (შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას და სხვ.). წინანდელზე გაცილებით სრულად არის ჩამოყალიბებული სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები. ამასთან ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, როგორც პროექტშია აღნიშნული, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება და არ უნდა იყოს გამოყენებული სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის ინტერესების საზიანოდ.

„საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — თვითეულ საბჭოთა ადამიანს ნათლად ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი უფლებების მთავარი გარანტია საბოლოო ანგარიშით სამშობლოს ძლიერება და აყვავებაა. ამისათვის კი თვითეული მოქალაქე უნდა გრძნობდეს თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, კეთილსინდისიერად ასრულებდეს თავის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე“. ამიტომ პროექტში ხაზგასმულია მოქალაქის ის მოვალეობა, რომ პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომოს, დაიცვას სამშობლო. კონსტიტუციური მოთხოვნის ხასიათს იძენს ის მოვალეობებიც, რომ დავიცვათ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, ხელი შევუწყოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ვიბრძოლოთ საზოგადოებრივი ქონების დატაცებისა და გაფლანგვის წინააღმდეგ, გავუფრთხილდეთ ბუნებას და დავიცვათ მისი სიმდიდრე, ვიზრუნოთ კულტურულ ღირებულებათა დაცვისათვის. პროექტი გვავალებს აგრეთვე ვიზრუნოთ ბავშვების აღზრდისათვის, რათა ისინი სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად გავზარდოთ.

პროექტი შეიცავს თავს „სოციალური განვითარება და კულტურა“, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნავს განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მოქალაქეთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

პროექტში მკაფიოდ აისახა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა სახელმწიფომ დიდი მუშაობა გასწიეს საბჭოთა კანონების სრულყოფისათვის, მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი დარღვევის, ბიუროკრატიული დამახინჯების წინააღმდეგ მტკიცე გარანტიების შექმნისათვის. პროექტი თითქოსდა განაზოგადებს ამ გარანტიებს და ხაზს უსვამს, რომ კონსტიტუციისა და კანონების შესრულება სახელმწიფოს ყველა ორგანოს და თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მოვალეობაა.

პროექტში მთლიანად არის შენარჩუნებული სსრ კავშირის ფედერაციული წყობის ყველა ძირითადი ნიშანი, რომლებმაც სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ეროვნული სახელმწიფოებრივი წყობის საკითხთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩვენი მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესებისა და თვითეული მისი შემადგენელი რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას.

ასახავს რა ახალ ეტაპს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, პროექტი შეიცავს მითითებას, რომ სსრ კავშირის ეკონომიკა გადაიქცა ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსად, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს. დამკვიდრებულია სოციალისტური ეკონომიკის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საწყისიც, როგორიც არის საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან გეგმიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამება.

კონსტიტუციაში პირველად არის შეტანილი სპეციალური თავი „საგარეო პოლიტიკა“. აქ ნათქვამია, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, მხარს უჭერს ხალხთა უშიშროების განმტკიცებასა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას. ასევე პირველად არის შეტანილი სპეციალური თავი „სოციალისტური სამშობლოს დაცვა“.

ქვეყნის ცხოვრებისათვის, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ახალი კონსტიტუციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. მისი დებულებების რეალიზაციამ თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს მთელი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობა, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მთელი მუშაობა, კონსტიტუცია საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ბაზა გახდება. მის საფუძველზე უნდა შევიმუშაოთ და დავამტკიცოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები და ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტი. იგი იქნება ბირთვი საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებულისა, რომლის შედგენა დაიწყო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებით.

ამავე დროს ახალმა კონსტიტუციამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა იმ ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კანონების მოთხოვნების ზუსტად დაცვას. საქმე ეხება პროკურატურას, სასამართლოს, არბიტრაჟს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, სახალხო კონტროლს. პარტია ყველა ამ ორგანოსაგან მოელის უფრო მეტ ინიციატივებს, პრინციპულობას, შეურიგებლობას საბჭოთა მართლწესრიგის ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონსტიტუცია კანონია ყველასათვის. ყველა საფეხურის საბჭოებმაც, მთავრობამაც, სამინისტროებმაც, უწყებებმაც, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმაც დღენიადაგ უნდა შეუფარდონ მუშაობა მის მოთხოვნებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მკაცრად უნდა მოჰკითხონ კომუნისტებს — სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს იმისათვის, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობებს.

ახალი კონსტიტუციის განხორციელება მრავალ მილიონ საბჭოთა ადამიანს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობისადმი კონტროლში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების მნიშვნელობა გასცდება ჩვენი სამშობლოს ფარგლებს. იგი მთელ მსოფლიოს უჩვენებს, თუ როგორ ვითარდება სოციალისტური სახელმწიფო, რა არის სოციალისტური დემოკრატიის არსი, უჩვენებს სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში ხალხის ფართო მასების მუდმივად მზარდი რეალური მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებსა და უდიდეს გაქანებას.

ახალი კონსტიტუცია დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის პირველმა სახელმწიფომ თავის დროშას სამუდამოდ წააწერა სიტყვა „მშვიდობა“, როგორც თავისი საგარეო პოლიტიკის უმაღლესი პრინციპი, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და პლანეტის ყველა სხვა ხალხის ინტერესებს. იგი გაამდიდრებს მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილების საერთო საგანძურს. სსრ კავშირის ძირითად კანონში ასახული გამარჯვებული სოციალიზმის მიღწევები შთამაგონებელი მაგალითი იქნება იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებმაც ახლახან აირჩიეს სოციალისტური განვითარების კურსი, რწმენას შემატებს კაპიტალის სამყაროს მშრომელთა მასებს თავიანთი უფლებებისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოტანასთან დაკავშირებით დიდი გაქანებისა და მნიშვნელობის მუშაობა მოგველის, საჭიროა პროექტის განხილვა ორგანულად დავუკავშიროთ ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმისათვის მზადებას — საბჭოთა ხალხი ხომ განიხილავს დოკუმენტს, რომელშიც აისახა რევოლუციის ძირითადი მონაპოვრები, ჩვენს მიერ განვლილი ახალი საზოგადოების მშენებლობის გზა.

ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ უზრუნველვყოთ პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და ნამდვილად საქმიანი განხილვა, ამ საქმეში ჩავაბათ მშრომელი მასები.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი დაძაბულად იბრძვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებასა და მასებში ახალი შემოქმედებითი ძალების გამოღვიძებას, ახალ გაქანებას მიანიჭებს სოციალისტურ შეჯიბრებას, აამაღლებს თვითეულის პასუხისმგებლობას მინდობილი სამუშაოსათვის.

პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას, ხელი შეუწყონ მის ფართოდ გაშლას. პროექტის განხილვა საბჭოების ღვიძლი საქმეა, მათ ამ სამუშაოში უნდა ჩააბან ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობა. პარტია მოელის, რომ პროექტის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა პროფკავშირები და კომკავშირი, შემოქმედებითი კავშირები, სამეცნიერო კოლექტივები.

განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა. მშრომელთა აზრის პატივისცემა, განხილვის მსვლელობის უნარიანი, მკაფიო გაშუქება — აი რა მოეთხოვება ჩვენს პრესას, ტელევიზიასა და რადიოს. თანამიმდევრობა და სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი რწმენისა და პრინციპების დაცვაში კლასობრივ მოწინააღმდეგეებთან პოლემიკის დროს.

ერთი სიტყვით, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, „ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა ყველა ჩვენი ორგანიზაციისა და მთელი ჩვენი კადრების უპირველესი მნიშვნელობის საქმე უნდა გახდეს“. სწორი, კარგად ორგანიზებული განხილვა, უეჭველია, გააუმჯობესებს მიმდინარე წლის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და აღფრთოვანებით ხვდებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის გარშემო.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. ეს ლენინური პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი იქნება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და ამასთანავე — თავისუფლებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

# ბოლო მოვუღოთ ფორმალობას

მშდ ახალმა ფიზკულტურულმა კომპლექსმა ხუთი წლის იუბილე აღნიშნა: ხუთ წელიწადში ჩატარებული მუშაობის შედეგად საქართველოში ხუთივე საფეხურის 1135515 ნიშნოსანი მომზადდა. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყოველ მეოთხე მცხოვრებს ყველა ნორმატივი აქვს ჩაბარებული.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც სულ უფრო მეტ ნიშნოსანს ამზადებენ. ამ ორგანიზაციების წილად მოდის რესპუბლიკის ნიშნოსანთა საერთო რაოდენობის 47,4 პროცენტი.

მშდ კომპლექსის დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომლებმაც 5 წლის განმავლობაში 511473 ნიშნოსანი (საერთო რაოდენობის 45,1 პროცენტი) მოამზადეს. მოწინავეა „სპარტაკი", მის კოლექტივებში ამ პერიოდში ყველა ნორმატივი ჩაბარებული აქვს 179708 კაცს, „კოლმეურნეში" — 164320-ს, „განთიადში" — 120009-ს, „ბურევესტნიკში" — 27283-ს, „ლოკომოტივში" — 16334-ს, „ვოდნიკში" — 4439-ს.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდია რეზერვეზი. „სპარტაკში" მშდ ნორმატივები ჩასაბარებელი აქვს 623367 კაცს, რაც შეეხება „ბურევესტნიკს", აქ რეზერვების უშრეტი წყაროა, რადგან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ახალი კადრებით ივსება.

საქართველოს „ბურევესტნიკი" გასული წლის შედეგებით ცენტრალური საბჭოს კოლექტივებს შორის მეორე ადგილზეა, თუმცა 5 წლის განმავლობაში მისი საშუალო მაჩვენებელი 17 პროცენტს არ აღემატება.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების მომსახურებაში მყოფ 1454000 კაცს ჯერჯერობით მშდ კომპლექსის ნორმატივი არ ჩაუბარებია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ნიშნოსანი ვერ გახდება, მაგრამ რეზერვები მაინც საკმარისია.

უნდა გავითვალისწინოთ ასაკობრივი კატეგორიებიც. ერთმა და იმავე პიროვნებამ თავისი დღეგრძელობის პერიოდში ასაკის მატებასთან ერთად მოთხოვნები და ნორმატივები რამდენჯერმე უნდა ჩააბაროს.

სათანადოდ მუშაობენ საუწყებო სპორტული საზოგადოებები „შრომითი რეზერვები" და „დინამო". „შრომითმა რეზერვებმა" 5 წლის განმავლობაში 65829 ნიშნოსანი მოამზადა, „დინამომ" — 11709 კაცი. რკინიგზის სკოლებმა 8314 მოსწავლე-ნიშნოსანი აღზარდეს. როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის ორგანიზაციებმა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ კავშირის მასშტაბით საქართველო ლიდერთა ჯგუფში მაინც არ არის.

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

როგორც ცნობილია, მშდ კომპლექსზე მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს წარსულშიც ახლდა ნაკლი და ახალ კომპლექსს იგი „მემკვიდრეობით" გადაეცა. ორი წლის წინათ საკავშირო სპორტკომიტეტმა ამ ხარვეზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით შექმნა მშდ საკავშირო ინსპექცია. ასეთივე ინსპექციები ჩამოყალიბდა რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტკომიტეტებთან, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებთან, ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან, ფიზკულტურის კოლექტივებში შეიქმნა ინსპექტორთა ჯგუფები.

ინსპექციებისა და ინსპექტორთა ჯგუფების ამოცანაა სისტემატური კონტროლი გაუწიონ მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ხარისხს, რისთვისაც ყოველწლიურად ნორმატივების ჩამბარებელთა 10 პროცენტი მაინც უნდა შემოწმდეს. ამ მიზნით შარშან და წელს ჩატარდა საკავშირო შემოწმება-რეიდი. წლეულს საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი ინსპექციების ძალებით 1160 ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა შევისწავლეთ. რეიდ-შემოწმებას სათანადო ყურადღება მიაქცია ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის საქალაქო, სიღნაღის, ჩხოროწყუს, გურჯაანის, მახარაძის, სამტრედიის, დუშეთის, ზუგდიდისა და სხვა რაიონულმა ორგანიზაციებმა.

რეიდმა ბევრი ნაკლი გამოავლინა, რაც გამოწვეულია საქმისადმი უპასუხისმგებლო, ზერელე დამოკიდებულებით. მაგალითად, ქ. ცხინვალში ჩატარებულმა რეიდმა დაგვარწმუნა, რომ კომპლექსზე მუშაობა ბევრ კოლექტივში ჩაშლის მიზეზად სათანადო პირობების უქონლობას ასახელებენ. ეს იქნებ საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ, სადაც მონდომებაა, იქ ხარვეზებსაც ძლევენ, როგორ ახერხებენ მაგალითად, რომ ცხინვალის № 6 საშუალო სკოლაში და „განთიადის" საოლქო საბჭოში, ელექტროვიბრომანქანის ქარხნისა და № 11 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივებში საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა სანიმუშოა, ამ საქმეში ჩაბმული არიან არა მარტო მეთოდისტები, არამედ მთელი აქტივი.

შემოწმება-რეიდმა შემოწმებული ფიზკულტურის კოლექტივების მეოთხედში კომპლექსზე მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ასე იყო მაგალითად, სოხუმის № 3, ასპინძის რაიონის ნაქალაქევის, ახალქალაქის № 1 საშუალო სკოლებში. ამ ორგანიზაციებში გამოვლინდა მიწერების, თვალის ახვევის ფაქტები. ბევრგან სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვეს ფიზკულტურელები, რომლებსაც კომპლექსის ყველა ნორმატივი (ტურისტული ლაშქრობა, ცურვა და თეორიული მოთხოვნა) არ ჩაუბარებიათ.

ცხინვალვაჭრობის ფიზკულტურულ კოლექტივში (დირექტორი ტაგიევა, მეთოდისტი სანაკოევი) მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა, მშდ კომპლექსზე მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. წლიური სტატისტიკური ანგარიში ფიქტიური მონაცემებითაა შევსებული.

ბევრ ქალაქსა და რაიონში სპორტკომიტეტები და სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ცუდად ხელმძღვანელობენ მშდ კომისიებისა და ინსპექტორთა ჯგუფების მუშაობას. წლეულს შემოწმებულ ყოველ მესამე ფიზკულტურულ კოლექტივში მშდ ინსპექტორთა მუშაობის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა. ამგვარი სურათია აჭარაში შემოწმებული კოლექტივების 15,7 პროცენტში, აფხაზეთის კოლექტივების 13,3 პროცენტში, თერჯოლის რაიონში — 16,6 პროცენტში, ზესტაფონის რაიონში — 15,0 პროცენტში, აბაშის, ლანჩხუთის, ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში ინსპექტორთა ჯგუფები შექმნილია ფორმალურად.

უკონტროლობასა და უპასუხისმგებლობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში შემოწმებული 5600 ნიშნოსნიდან 15 პროცენტმა წინათ ნაჩვენები შედეგების გამეორება ვერ შეძლო. ეს ციფრები განსაკუთრებით დიდია გარდაბნის რაიონში (65 პროცენტი), რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ მშდ კომპლექსზე მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. ამ რაიონში შემოწმებულ 26 კოლექტივიდან 18-ში დოკუმენტაცია არასწორად იყო გაფორმებული. 11 კოლექტივში არ ჩატარებულა შეჯიბრებები მშდ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე, 6 კოლექტივში საერთოდ არ წარმოებს სასწავლო სპორტული მუშაობა, 16 კოლექტივში უმოქმედობენ მშდ კომისიები, 23-ში ინსპექტორთა ჯგუფები დღემდე არ შექმნილა (?!).

რეიდის დროს ამ რაიონში გამოვლინდა თვალის ახვევისა და მიწერის 6 ფაქტი (ზემოაღნიშნული მონაცემები მოვიტანეთ გარდაბნის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ნუცუბიძის წერილობითი ანგარიშიდან). უნდა ვიფიქროთ, რომ უკეთესი მდგომარეობა არც ამბროლაურის, ბორჯომის, ვანის, ლაგოდეხის, მცხეთის, საგარეჯოს, თელავის, თეთრი წყაროს, მარნეულ ის რაიონების, ქალაქების — ფოთ ., ჭიათურის, გორის, ტყიბულის, წყალტუბოს სპორტკომიტეტებს აქვთ, რომლებმაც საშვილი არ დააყენეს რეიდ-შემოწმების შედეგების საქართველოს სპორტკომიტეტში წარმოდგენას.

როგორც უკვე ითქვა, ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დებულებით კომპლექსზე მუშაობა დავალებული აქვთ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, ცალკეულ უწყებებს, დოსააფისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, წითელი ჯვრის საზოგადოებასა და სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივ შტაბებს, მაგრამ მათი უმეტესობა უკანასკნელ წლებში ძველებურად აღარ მუშაობს, დოსააფის ორგანიზაციები ხშირად არ ზრუნავენ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლების შაშხანებითა და ვაზნებით უზრუნველყოფისთვის, ჯანმრთელობის ორგანოები იშვიათად ატარებენ მეცადინეობას თემაზე „ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები".

მიმდინარე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ეს მშდ კომპლექსზე მუშაობასაც ეხება. კომპლექსის კომისია, ინსპექციები და ინსპექტორთა ჯგუფები, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები, სპორტული კლუბების გამგეობები, მწვრთნელები, მასწავლებლები, ინსტრუქტორები, მეთოდისტები, მთელი ფიზკულტურული აქტივი უნდა დაირაზმოს ნიშნოსანთა მომზადების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების ასამაღლებლად.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყველა დამახინჯებას, სიყალბეს, თვალის ახვევას, მიწერებს. არც ერთი უღირსი მშდ ნიშნოსანი არ უნდა გახდეს. აი, ჩვენი დევიზი!

**ა. დოკვაძე,**
მშდ საკავშირო ინსპექციის წევრი, რესპუბლიკური ინსპექციის თავმჯდომარე, დოცენტი.

## გუშინ...

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში სტარტი აიღო სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ჩემპიონატმა. დილით გაიმართა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელ ქალთა წინასწარი შეჯიბრება. სპორტსმენებმა 7-7 ნახტომი შეასრულეს. საღამოთი კვლავ გაგრძელდა წინასწარი ხტომები, რომლებსაც 8 ფინალისტი უნდა გამოევლინა. სამწუხაროდ, შეჯიბრება გვიან დამთავრდა და ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია ფინალისტთა ვინაობა გაგაცნოთ. დილით გამართული შეჯიბრების შემდეგ ლიდერებს სათავეში ჩაუდგა პეწელი მსოფლიოს ჩემპიონი ი. კალინინა (313,65 ქულა). საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი აქვს ი. გუტიაკულოვას (261,15). იგი IX ადგილზეა.

# ხუთ ვარჯიშში

**სოხუმის** მახლობლად, ეშერის „დინამოს" სასროლეთზე დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება ტყვიის სროლაში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" პრიზებზე. 50 მეტრიდან სამატჩო პისტოლეტის სროლაში იმარჯვა ა. ეგრიშჩინმა — 568 ქულა. სოხუმელი ექიმი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მ. პაპავა IV ადგილზე გავიდა — 565.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა სროლაში. მსოფლიო რეკორდსმენმა კ. სმიჩეკმა (გფრ), საბჭოთა სპორტსმენებმა ა. მიტროფანოვმა, ვ. პოლიაკოვმა, ვ. ჟურავსკიმ და ვ. დანილჩენკომ 600-დან 598 ქულა მოაგროვეს. უკანასკნელი სერიების მიხედვით გამარჯვება სმიჩეკს დარჩა.

ამავე იარაღით სტანდარტზე (3×40) სროლაში თავიდანვე დაწინაურდა ე. პენძიში. მან ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და 1171 ქულა მოაგროვა, რაც ოლიმპიურ და მსოფლიო რეკორდებს აღემატება. აღსანიშნავია, რომ პენძიში ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც ამ ტრადიციული ტურნირის მიღწევა გააუმჯობესა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. ვლასოვი (1170) და ა. მიტროფანოვი (1165).

„გაქცეულ ტახზე" შეჯიბრებამ წარმატება მოუტანა სპორტის ოსტატ ა. ივანოვს, რომელმაც ორივე სერია ჩინებულად ჩაატარა, და 581 ქულა მოაგროვა. ივანოვმა პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მისი მაჩვენებელი 2 ქულით აღემატება ა. გაზოვის მიერ მონრეალის ოლიმპიადაში დამყარებულ ოლიმპიურ და მსოფლიო რეკორდებს. II და III ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები ა. კედიაროვი (577) და მ. იიგი (575) გავიდნენ.

სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის ჩქაროსნულ სროლაში ვ. როზენბლატმა (596 ქულა) ქულით აჯობა ა. კუზმინს. III ადგილისთვის დამატებითი სერია ჩატარდა ვ. სუსკისა და ი. ფიდელს (ორივე — გდრ) შორის. III ადგილი სუსკის დარჩა.

**რ. კაცობაშვილი,**

### წერილი რედაქციას

# საქმე ამით მოიგებდა

სასიამოვნოა, რომ მშდ კომპლექსს ჩვენს ქვეყანაში ახლა ასეთი დიდი ყურადღება ექცევა. იგი ხომ სპორტის ბევრი სახეობის დედაა. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზების გათამაშების ყველა ეტაპი ფიზკულტურული კოლექტივებისგან მის წევრთა შორის კომპლექსის საფუძვლიანად დანერგვისთვის უფრო გულმოდგინე, უფრო ინტენსიურად მუშაობას მოითხოვს.

ახალგაზრდებში კომპლექსის როლის ამაღლებისთვის ურიგო არ იქნებოდა თუ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველებს სხვა საბუთებთან ერთად მშდ კომპლექსის შესაბამისი საფეხურის ნორმატივების ჩაბარების ცნობასაც მოსთხოვენ, ცნობების რეალობაზე კი პასუხს ამ ცნობების გამცემი ორგანიზაციები აგებენ.

**რ. მალაყმაძე,**
ხელვაჩაურის რაიონის ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

## რამდენიმე სტრიქონით

### ჭიათურა

აქ გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ნახევარფინალური შეჯიბრება მეორე ჯგუფის კალათბურთელთა შორის. იმარჯვეს ჭიათურელმა ჭაბუკებმა და გოგონებმა, რომლებიც სპარტაკიადის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

**გ. ბარჯაძე,**
(ჩვენი კორ.).

### ჩხოროწყუ

1-ლი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში სამ დღეს გაგრძელდა რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ყველას აჯობეს ლესიჭინეს 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. II ადგილი ხვდათ ჩხოროწყუს 1-ლი, ხოლო III — ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლების წარმომადგენლებს.

**ს. ჯალაღონია.**

### ხელვაჩაური

მოეწყო „კოლმეურნის" რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირად-გუნდური პირველობა. გუნდურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს მახოს კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა. ქალთა შორის ყველას აჯობა მ. ნაკაშიძემ (მახო), ვაჟებში — ს. ლორთქიფანიძემ (ერგე).

**ნ. დევაძე.**

### ზესტაფონი

რაიონის საშუალო სკოლების მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 15 კოლექტივი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მე-3 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. ჭაბუკთა შორის ჩემპიონი გახდა ამავე სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლე ნ. დევდარიანი (7,5 ქულა 8-დან), გოგონებში — მე-2 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი მ. ხუსკივაძე (8 ქულა 8-დან).

**დ. ფორჩხიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# სპორტული ცხინვალი

### ხუთ სახეობაში

დამთავრდა „სპარტაკის" მასწავლებელთა საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი და მშდ-ს მრავალჭიდი.

ჭადრაკსა და შაშში მე-2 საშუალო სკოლის გუნდი საუკეთესო იყო, მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა იმარჯვეს. ფრენბურთსა და მშდ-ს მრავალჭიდში თავი ისახელეს სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდური ადგილები შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდა: სკოლა-ინტერნატი, მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 საშუალო სკოლა.

სპარტაკიადას თავი აარიდეს მე-4 და მე-12 საშუალო სკოლების კოლექტივებმა, ხოლო მე-9 და მე-10 საშუალო სკოლებმა მხოლოდ მოჭადრაკეთა ტურნირში გამოიყვანეს გუნდები.

### ჭიდაობა

ცხინვალში ჩატარდა „კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ცხინვალის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების 44 მოჭიდავე. გუნდური ადგილებიც ასეთივე თანამიმდევრობით განაწილდა.

თავიანთ წონებში გაიმარჯვეს დ. დოგუზოვმა, თ. შავლოხოვმა, ნ. საბანოვმა, თ. ჯაბიევმა, დ. მაღალდაძემ (ყველა — ცხინვალის რაიონი) ა. ვალიევმა, თ. ბუთხუზმა (ორივე — ლენინგორის რაიონი), ზ. გობოზოვმა და ს. ჭანტურიძემ (ორივე — ზნაურის რაიონი).

* * *

სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდა ძალოსანთა პირად-გუნდურ პირველობაში ცხინვალის, ჯავისა და კვაისის 30 სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდურ პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება მასპინძლებს ხვდათ, მათვე გაიმარჯვეს ყველა წონით კატეგორიაში. აი, ისინიც: ო. ტასოევი, მ. თედეევი, ვ. ჯანაევი, ზ. ფუხაევი, გ. თინაშვილი, ე. ჩოჩიევი და ა. ჯაგაევი.

### ჭადრაკი

ლენინგორის რაიონის მოსწავლე მოჭადრაკეთა პირველობაზე საუკეთესო იყო ლენინგორის მე-2 საშუალო სკოლის გუნდი.

პირად პირველობაში გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა ლენინგორის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ჩიგოევა. ბიჭებს შორის საუკეთესო იყო მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. გრიშამვლი.

### ფეხბურთი

რაიონის „კოლმეურნის", რაისაბჭოს „ოქროს თავთავის" თასის გათამაშებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის 10 კოლექტივი მონაწილეობდა. ყველას ერედვის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა აჯობა.

**მ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

40
ჩემპიონატი

26 მაისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის VI ტურის შეხვედრები, რომელთა შედეგები ასეთია:

ცსკა — „ლოკომოტივი“ 1:1.
„ზენიტი“ — „ტორპედო“ 0:0.
„შახტიორი“ — „არარატი“ 1:0.
„ნეფთჩი“ — „კარპატი“ 2:0.
„ქაირათი“ — „ჩერნომორეცი“ 2:1.
„კრ. სოვეტოვი“ — „დნეპრი“ 1:3.

# 2 ქულა — სტუმრად

ვოროშილოვგრადი. „ავანგარდის“ სტადიონი. 26 მაისი.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

„ზარია“: ტკაჩენკო, სოროკალეტი, მალიგინი, ვლ. აბრამოვი (ვიქ. აბრამოვი), რაბოჩი, ჟურავლიოვი, სტულჩინი, ანდრეევი, კუზნეცოვი, კუკსოვი, სემიონოვი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:2. ბურთები გაიტანეს ბაზაზაშვილმა და ებანოიძემ.

სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონს — „ზარიას“ ერთობ არასახარბიელოდ აქვს საქმე — იგი აუტსაიდერია. ამიტომ გუნდი თავის მინდორზე ყველაფერს ეცადა, რათა თბილისელებთან მატჩში გამოესწორებინა მდგომარეობა და შეექმნა ქულათა გარკვეული მარაგი.

მაგრამ დინამოელებმა პირველივე წუთებიდან სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და რამდენიმე უაღრესად სახიფათო მომენტი შექმნეს მის კართან. გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი ჰქონდათ ჩელებაძეს, შენგელიას, შემდეგ ხინჩაგაშვილის დარტყმას ზედ კარის ხაზზე მიუსწრო ვლ. აბრამოვმა. ტაიმი სტუმრების საგრძნობი უპირატესობით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ, 48-ე წუთზე, თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს, გარღვევაზე გავიდა ხინჩაგაშვილი, მიაწოდა ბურთი შენგელიას, ეს უკანასკნელი გასცდა მცველებს, მეკარესაც და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

სტუმრები ერთხანს კვლავ ფლობდნენ ინიციატივას, ჩელებაძეს და შენგელიას კვლავ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობანი, მერე კი, ბოლო 15-20 წუთის მანძილზე, „ზარიამ“ შეძლო ტერიტორიული უპირატესობის აღება, მაგრამ თბილისელებმა ბოლომდე წარმატებით მიიყვანეს გამარჯვების საქმე და 2 ქულა ჩაიწერეს თავიანთ აქტივში.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 6 | 3 | 3 | 0 | 10—4 | 9 |
| „ქაირათი“ | 6 | 3 | 3 | 0 | 6—3 | 9 |
| „დინამო“ მ. | 5 | 3 | 2 | 0 | 7—0 | 8 |
| „შახტიორი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 4—1 | 8 |
| „ტორპედო“ | 6 | 3 | 2 | 1 | 5—4 | 8 |
| „ლოკომოტივი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 4—2 | 7 |
| „ნეფთჩი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 7—7 | 6 |
| „დნეპრი“ | 6 | 3 | 0 | 3 | 5—7 | 6 |
| „დინამო“ კ. | 4 | 1 | 3 | 0 | 6—2 | 5 |
| „არარატი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5—6 | 5 |
| „ზენიტი“ | 6 | 0 | 5 | 1 | 5—6 | 5 |
| „ჩერნომორეცი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 4—5 | 4 |
| ცსკა | 6 | 0 | 4 | 2 | 5—10 | 4 |
| „კარპატი“ | 6 | 0 | 2 | 4 | 2—7 | 2 |
| „ზარია“ | 6 | 0 | 2 | 4 | 1—6 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 6 | 0 | 2 | 4 | 5—11 | 2 |

●

## პენალტებმა გადაწყვიტა

ბრიუსელი, 26 მაისი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა უეფა-ს ტურნირის ნახევარფინალური მატჩი ფრედ დაამთავრა ბელგიის გუნდთან — 1:1. დაინიშნა მატჩის შემდგომი დამატებითი პენალტები, სადაც ბელგიელები უფრო ზუსტნი იყვნენ — 4:2.

მეორე ნახევარფინალში ბულგარელებმა მოუგეს გფრ-ის ნაკრებს — 3:1.

დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრა (ბელგია — ბულგარეთი) და მატჩი III ადგილისთვის (სსრ კავშირი — გფრ).

## დებიუტი — 29 მაისს

როგორც უცხოეთის სპორტული პრესა იუწყება, გფრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი კაპიტნის ფ. ბეკენბაუერის დებიუტი ნიუ-იორკის კლუბ „კოსმოსში“ შედგება 29 მაისს. ამ დღეს „კოსმოსი“ ითამაშებს „ტამპასთან“ (ფლორიდის შტატი).

# II ლიგაში

**26 მაისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:2

პირველი 45 წუთის მანძილზე ორივე გუნდის ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ და შეტევებსაც არაორგანიზებულად აწარმოებდნენ.

შედარებით უფრო უკეთესი და მასთან ერთად შედეგიანიც გამოდგა მატჩის მეორე ნახევარი. პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს 70-ე წუთზე: შაინოვ-მარქაროვ-ტიმოშენკოს კომბინაცია დასრულდა ტიმოშენკოს ზუსტი დარტყმით, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ დინამოელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა ქორიძემ — 1:1.

85-ე წუთზე სტუმრები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ, როდესაც მარქაროვს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს „ლოკომოტივის“ მცველებმა და საშუალება მისცეს დაერტყა კარში — 2:1. „ლოკომოტივი“ დამარცხების აშკარა საშიშროების წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ როცა მსაჯის საფინალო სასტვენს თითქმის აღარაფერი აკლდა, ტეხოვმა შეძლო მეორე ბურთი გაეგზავნა მეტოქის კარში.

ა. სირაძე.

### „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი)

1:1

სოხუმის დინამოელები პირველ სერიოზულ წარუმატებლობათა შემდეგ თანდათან აუმჯობესებენ თამაშს, რაც ცხადი იყო ზონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან შეხვედრაშიც. უკვე პირველ წუთზე ნალჩიკელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული: გადელიამ ხელებში მისცა ბურთი მეკარეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოხუმის დინამოელები მიმდინარე გათამაშებაში უკვე მესამე პენალტს კარგავენ.

შემდგომში მასპინძლებს, კერძოდ, იმავე გადელიას, კვლავ მიეცა გოლის გატანის საშუალება, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო იყო. ბოლოს, მე-80 წუთზე, გადელიამ კარგად გამოიყენა ბოხაშვილის გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დინამოელთა მეკარე ბენიძემ შეცდომა დაუშვა და ბელოვმა გაათანაბრა ანგარიში.

შ. ჯალაღონია.

### „სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი)

1:1

თბილისის „სპარტაკის“ მოთამაშეთა მისამართით შეგვიძლიათ თქვათ, რომ ისინი თანდათან პოულობენ ერთმანეთთან საერთო კომბინაციურ ენას. სპარტაკელები თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ზუგდიდელები კარგად იცავდნენ თავს და სწრაფ კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ, რომელთა დროსაც მასპინძელთა კარი ორჯერ გადარჩა აშკარა ხიფათს.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს თამაში, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველი გოლი სწორედ მათს კარში იქნა გატანილი. მე-60 წუთზე ომიაძემ შორი მანძილიდან დაარტყა, „დინამოს“ მეკარე ლეჟავა დაეუფლა ბურთს, მაგრამ კარის ხაზს იქით გაუშვა იგი — 1:0.

დინამოელებმა ხანგრძლივი შეტევის შემდეგ შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა: ეს 85-ე წუთზე გააკეთა ნაჭყებიამ.

მ. ჩიხლაძე.

## ვულოცავთ გივი ნოდიას

ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს გამოჩენილი ოსტატის გ. ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა კლუბის წევრობის მთავარი პრეტენდენტის გივი ნოდიას გამოსვლებს მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში. მას სულ ცოტა აკლდა, რომ შეესრულებინა დიდოსტატური ნორმა — 100 გოლი, გატანილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების, სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და ევროპის თასების ოფიციალურ მატჩებში.

26 მაისის შეხვედრის წინ მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ცსკა-ს შორის, გ. ნოდიას ანგარიშზე მოდიოდა: 89 გოლი ჩემპიონატებში, 5 — სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და 5 — ევროპულ ტურნირებში. ამ დღეს გ. ნოდიამ თავისი 90-ე გოლი გაიტანა და ზუსტად დააგროვა კლუბის წევრობის გამსვლელი ნორმა — 100 ბურთი.

ვულოცავთ გ. ნოდიას დიდ წარმატებას!

გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის წევრთა სახელით: ბ. პაიჭაძე, ა. ღოღობერიძე, ზ. კალოევი.

# თასი — „ლივერპულს“

რომი, 25 მაისი. აქ შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში ინგლისის „ლივერპულსა“ და გფრ-ის „ბორუსიას“ („მიონხენგლადბახი“) შორის.

ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა ინგლისელმა მაკდერმოტმა. ეს გოლი 50-ე წუთზე გაქვითა სიმონსონმა. შემდეგ ინგლისელმა სმითმა 64-ე წუთზე წინ გაიყვანა „ლივერპული“ (აღსანიშნავია, რომ ეს იყო მისი ბოლო, 599-ე მატჩი 16 წლის მანძილზე), ხოლო 82-ე წუთზე „ბორუსიის“ კაპიტანმა ფოგტსმა უხეშად წააქცია თავის საჯარიმო მოედანზე კიგანი და ფილმა ზუსტად დაარტყა პენალტი. „ლივერპულმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:1 და დაეუფლა საპატიო თასს.

## ფინიშის სწორზე

ქუთაისი, 27 მაისი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში შედგა კიდევ ორი ტური, რომლებმაც კიდევ უფრო დაძაბა ბრძოლა პირველობისთვის.

XIV ტურში კვლავ გაიმარჯვეს ლიდერებმა — ზ. სტურუამ და ს. ლპუტიანმა (ორივე — თბილისი). პირველმა მოუგო ქუთაისელ გ. გიორგაძეს, ხოლო მეორემ — საგარეჯოელ დ. გურგენიძეს. მ. არჩვაძემ (სამტრედია) დაამარცხა გ. თორია (ზუგდიდი), კ. ჩიგოგიძემ (თბილისი) — გ. ტყებუჩავა (ცხაკაია), მ. ქიპაშვილმა (კასპი) — ა. ლომიძე (რუსთავი), რ. კაპანაძემ — გ. გრძელიშვილი, დ. გედევანიშვილმა (სამივე — თბილისი) — ი. სიფრაშვილი (სიღნაღი). გადაიდო გ. მენაბდე — ბ. ხეცურიანის (ორივე — ქუთაისი) და ვ. ვეფხვიშვილ — თ. ხანთაძის (ორივე — თბილისი) შეხვედრები.

XV ტურში სტურუამ კაპანაძესთან ნახევარი ქულა დაკარგა, ხოლო ლპუტიანმა დაამარცხა ლომიძე. ჩიგოგიძემ წააგო სიფრაშვილთან. გრძელიშვილმა მოუგო გედევანიშვილს, ხანთაძემ — ქიპაშვილს. ყაიმით დამთავრდა გურგენიძე — გიორგაძის პარტია. გადაიდო თორია — ვეფხვიშვილის, ხეცურიან — არჩვაძისა და ტყებუჩავა — მენაბდის შეხვედრები.

15 ტურის შემდეგ ს. ლპუტიანს 12,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ზ. სტურუას — 11 ქულა და ორი გადადებული, ხოლო მ. არჩვაძეს — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ლ. ფაჩუაშვილი.

# ჭადრაკი

## ანგარიში გათანაბრდა

სოფიაში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ე. ახმილოვსკაიას (სსრ კავშირი) და ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) მეოთხედფინალურ მატჩში გათამაშდა VII პარტია. იგი 42-ე სვლაზე გადაიდო ლემაჩკოს უპირატესობით. თამაშის განახლებისას ლემაჩკომ გაიმარჯვა და ანგარიში გათანაბრდა — 3,5:3,5.

## ფიდე-ს სამდივნოს განცხადება

როგორც ფიდე-ს სამდივნოს წარმომადგენელმა განაცხადა, პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩები დაახლოებით 25 ივნისისთვის დაიწყება. ახლა ფიდე-ს პრეზიდენტი, პროფესორი მაქს ეივე მოლაპარაკებას აწარმოებს დაინტერესებულ ფედერაციებთან. ეივემ განაცხადა, რომ ორივე მატჩის ერთდროულად ჩატარება სურს ქალაქ მილანს, აგრეთვე, ფლორენციის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ მონტეკატინის.

ფიდე-ს, გარდა იტალიელებისა ამ საკითხზე თხოვნით მიმართეს საფრანგეთისა და შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციებმა.

## კარპოვის გამარჯვება

ლას-პალმასის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირის XIII ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა დაამარცხა იტალიელი ს. ტატაი, დააგროვა 12 ქულა და შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა პირველი ადგილი. ამის მიუხედავად, XIV ტურში მან ძლიერად ითამაშა და მოუგო მასპინძელ ფ. ვიზიერს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა არგენტინელ რ. დებარნოს მოუგო, ხოლო XIV ტურში ესპანელ ა. გარსიასთან შეხვედრაში პაიკების ენდშპილში უხეშად შეცდა და წააგო.

კარპოვის უახლოესმა მეტოქემ, დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა ესპანელი ა. პომარი დაამარცხა, ხოლო მეორე ესპანელ ა. მარტინს დაუზავდა. ჰოლანდიელი დიდოსტატი ი. ტიმანი ამ ტურებში ქულა-ნახევარს დასჯერდა: დაუზავდა ესპანელ ხ. ბელონს და მოუგო მის თანამემამულეს ს. კაბრერას.

14 ტურის შემდეგ კარპოვს 13 ქულა აქვს, ლარსენს — 10, ტიმანს — 9,5, ტალს — 8,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

## 5,5 ქულა 6-დან

კუბის ქალაქ სიენფუეგოსში გრძელდება ხ. კაპაბლანკას მემორიალი. განვლილია შეჯიბრების მესამედი — 6 ტური. სტარტი შესანიშნავად აიღო ლვოველმა ოსტატმა ი. დორფმანმა. მან 5 პარტია მოიგო და მხოლოდ შვედ დიდოსტატ უ. ანდერსონთან შეხვედრა დაამთავრა ყაიმით. II ადგილისთვის მებრძოლ მოჭადრაკეებს დორფმანი ქულით უსწრებს. 18 მოჭადრაკეს შორის არის კიდევ ორი საბჭოთა დიდოსტატი: ლვოველ ო. რომანიშინს 3 ქულა აქვს, ხოლო მოსკოველ ვ. ანტოშინს — 2,5.

# რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები

## ხელბურთი

### ასპარეზზე ვაჟები

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლის დარბაზში დაიწყო საქართველოს II ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ახალგაზრდა ხელბურთელ ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ფოთის, ტყიბულის, თელავის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს (მოსწავლეები) ნაკრები გუნდები.

პირველი დღის შედეგები ასეთია: ზუგდიდი-გორი 28:25, ქუთაისი-ტყიბული 30:12, თბილისი-საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები 32:25, თელავი-ფოთი 33:23, აჭარა-აფხაზეთი 44:25, რუსთავი-სამხრეთ ოსეთი 29:21.

შეჯიბრება ხუთ დღეს გასტანს.

ო. მურვანიძე,
ბათუმი. (ჩვენი კორ.).

## წყალბურთი

### უძლიერესი იყო თბილისის გუნდი

**თბილისში,** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში დამთავრდა რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალბურთში. სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის (2), აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის გუნდები.

ტურნირში ტოლი არ ჰყავდა თბილისის პირველი გუნდის წყალბურთელებს, რომლებმაც ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს. მათ დაამარცხეს თბილისის მეორე ნაკრები (11:2), აჭარის (10:3), ქუთაისის (10:6), აფხაზეთის (19:1) გუნდები და მოიპოვეს პირველი ადგილი. II ადგილი წილად ხვდათ ქუთაისის წარმომადგენლებს, III — აჭარის გუნდს.

სურათზე: რესპუბლიკურ თამაშებში გამარჯვებული გუნდი. მარცხნიდან — ბ. მეგედი (მწვრთნელი), დ. ივანიშვილი, დ. გვახარია, ზ. ივანიშვილი, ი. ხამოევი, პ. დადიანი, ზ. ჭკადუა, დ. შავგულიძე, მ. კენჭაძე, გ. გველესიანი, ზ. ხეცურიანი, გ. ტუქვაძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# გისურვებთ წარმატებებს!

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ვიქტორინა-კონკურსი

## დავალება № 4

### ამოცანა № 6



შამათი სამ სვლაში

### ეტიუდი № 4



თეთრები იგებენ

### პოზიცია № 2



სვლა თეთრებისაა.

### შეკითხვები:

1. როდის შემოიღეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშება? დაასახელეთ თასის მფლობელნი წლების მიხედვით.
2. რომელ წელს გაიმართა რუსეთში ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი და ვინ დაიკავა პირველი ადგილი?
3. ვინ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები (წლების მიხედვით) ორი, სამი, მრავალსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში (8 ქულა)?

პასუხების მიღების ბოლო დღეა (საფოსტო შტემპელის მიხედვით) **18 ივნისი.**

## ლიდერობენ...

სამი დავალების ამოხსნის შემდეგ ლიდერობენ: თ. ყულჯანიშვილი (რუსთავი), რ. მინდაძე (იალტა) — 55-55 ქულა, რ. კახიძე (ხელვაჩაურის რაიონი, ს. ქვემო ჩხუტუნეთი), კ. ძინძიბაძე (რუსთავი), ი. ლომაშვილი (თბილისი) — 54-54, მ. თევზაძე (თბილისი) — 52, რ. წურწუმია — 51, გ. გობეჩია (ორივე — ჩხოროწყუს რაიონი, ს. ლეწურწუმე), ნ. ტერაშვილი (რუსთავი), თ. ლოლომაძე (თბილისი) — 50-50, გ. მჟავანაძე (მაიაკოვსკის რაიონი, ს. როხი), ა. სუბელიანი (ზუგდიდი), ნ. ბალავაძე (რუსთავი), რ. ჭედია (ოჩამჩირე) — 48-48, ა. ჭანტურია, გ. სტურუა (ორივე — თბილისი) — 47-47, ნ. კახიძე (ბათუმი) — 46, გ. ნიკოლეიშვილი, ი. ბაჩაკაშვილი, გ. კაკაურიძე (სამივე — თბილისი) — 45-45, რ. გურული (ზესტაფონის რაიონი, ს. ქვედა საქარა), ზ. ბებურია (სოხუმი) — 44-44, ი. ბეგიშვილი (სიღნაღის რაიონი, ს. ძველი ანაგა), გ. ლაზიშვილი (ბათუმი) — 42-42, ნ. გელოვანი (ზუგდიდი) — 41, ი. კანდელაკიშვილი (თბილისი) — 40, ა. ქკადუა (სოხუმი) — 39, რ. სეფიაშვილი (კრასნოდარი) — 38.

შეაგვიანდა ზოგი მონაწილის წერილს, ამიტომ მოსალოდნელია ცვლილებები ლიდერთა ახლანდელ განლაგებაში.

სამწუხაროდ, ზოგმა მონაწილემ, რაკი ვერ მოხვდა ლიდერთა ჯგუფში, თავი დაანება შეჯიბრებას. განა ვიქტორინა-კონკურსში მხოლოდ გამარჯვებისთვის მონაწილეობენ? ჭადრაკის მოყვარული ამით იძენს ცოდნას, ეცნობა საჭადრაკო ლიტერატურას, იწაფება ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის ტექნიკაში. ყოველივე ეს კი განაპირობებს შემდგომი წარმატებების მოპოვებას.

## შეამოწმეთ თქვენი პასუხები

ამოცანებისა და ეტიუდების ავტორია ცნობილი თბილისელი კომპოზიტორი ვ. კალანდაძე. **ამოცანა № 4.** მას რამდენიმე ამოხსნა აქვს: 1. ლh3, 1. ლg3, 1. ლf3, 1. ლe3, 1. ლc3. ვინც ხუთივე ამოხსნა მიუთითა, ზედმეტად თითო ქულა მიეთვალა. **ამოცანა № 5.** 1. ეf6 მფg7 2. ჯg6 მფh6 3. ე:e6. 2. ... მფg8 3. ე:e6. **ეტიუდი № 3.** საწყის პოზიციაში ავტორის მიზეზით შეცდომა გაიპარა: შავი პაიკი h7 უნდა იყოს h6-ზე. ყველას, ვინც ეტიუდის ამ ხარვეზზე მიუთითა, თითო ქულა დაემატა. ამოხსნა: 1. f4 h5 2. f5 h4 3. f6+ მფf7 4. ეh8 ეc1+ 5. მფh2 (მხოლოდ ასე. 5. მფg2? h3+ 6. მფg3 ეc3+ 7. მფ:g4 h2 და თეთრები ვერ იგებენ) 5. ... ეc2+ 6. მფg1 ეc1+ 7. მფf2 g3+ 8. მფg2 ეc2+ 9. მფh3! ეh2+ 10. მფg4 g2 11. მფf5 g1ლ 12. ეf8+! მფ:f8 13. c8ლ+ მფf7 14. ლe6+ მფf8 15. ლe7+ მფg8 16. f7+ მოგებით.

## ტანვარჯიში

# ვილნიუსი ეგებება...

ვილნიუსი, 26 მაისი. (საქდესის კორ. ს. ვაინტრაუბასი). 28-29 მაისს ლიტვის დედაქალაქში შედგება ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი „ელექტრონიკის ნიშნით“. შეჯიბრების ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ვ. კალოგნომოსმა ტანმოვარჯიშეთა ეს ევროპული ფორუმი ასე დაახასიათა: „ამჯერად ელექტრონული იქნება ერთ-ერთი სასპარეზო იარაღი — ტაიჭი“. საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ შემუშავებული შუქის სიგნალიზაციის საშუალებით ელექტრონული აპარატურა სწრაფად და ზუსტად აღნიშნავს მოასპარეზეთა არევნის ადგილს. მსაჯებს დაეხმარება ორიგინალური „ელექტრონული სამდივნო“.

ბოლო დღეებში ვილნიუსის სპორტის სასახლე, რომელიც ხუთიათას მაყურებელს იტევს, სამონტაჟო მოედანს მოგაგონებდათ. ყველა იარაღი ახალი კონსტრუქციისაა. ევროპის ჩემპიონატი ოფიციალური „გამომცდელი“ იქნება ახალი სპორტული მოწყობილობისთვის, რომელიც ოლიმპიადა — 80-სათვის მზადდება.

ჩემპიონატზე აკრედიტებულია 200-ზე მეტი ჟურნალისტი. შეჯიბრებას გააშუქებენ ევროპის 20 ქვეყნის, აგრეთვე იაპონიისა და აშშ-ის სატელევიზიო კომპანიები. ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებს ფირზე აღბეჭდავს ხუთი კინოგადამღები ჯგუფი.

სიმღერის მასობრივი დღესასწაულებით ცნობილი ლიტვა 27 მაისს, ასპარეზობის სადღესასწაულო გახსნისთვის ამზადებს საზეიმო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ათასამდე მოცეკვავე და მომღერალი.

დღეს ქალაქის სამ სპორტულ დარბაზში პირველი საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს ახლახან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. აქ დაახლოებით 20 სახელმწიფოს 60 სპორტსმენს მოელიან.

ტანმოვარჯიშეთა ნახევარი ოლიმპიადა 76-ის მონაწილეა. განსაკუთრებული ინტერესით ელიან ცნობილი ოსტატების გამოსვლას. აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა მესამედი ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტია.

28 მაისს გამოვლინდებიან ჩემპიონები და პრიზიორები მრავალჭიდში, მეორე დღეს — ცალკეულ იარაღებზე.

## კალათბურთი

### ევროპა — ამერიკა

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში ჯერჯერობით უდანაკარგოდ იბრძვიან იუგოსლავიის და იტალიის გუნდები, რომლებმაც ისევ დაამარცხეს ოკეანესგაღმელი სპორტსმენები. ევროპის ჩემპიონებმა უკვე მესამე ქულა აიღეს — ამჯერად არგენტინელებთან მატჩში — 101:80 (52:36). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ჩოსიჩი (22 ქულა), სტუმართაგან — პეგელა (24). იტალიელებმა სძლიეს კანადელებს — 85:51 (38:23). მარზორატმა (იტალია) და სკერლაკმა (კანადა) 16-16 ქულა შესძინეს თავიანთ კოლექტივებს.

ტურნირი კარგად დაიწყო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, აშშ-ს ნაკრებმა, რომელმაც დაამარცხა ისრაელის გუნდი — 95:86 (57:51).

### დერიუგინი ერთ-ერთი საუკეთესოა

**ნიუ-ჯერსის** შტატის ნაკრებთან მატჩით დამთავრდა საბჭოთა იუნიორ კალათბურთელთა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს შეხვედრა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 99:89.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა თერთმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ხუთი მოიგეს, მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ სტუმრების კარგ ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. სპეციალისტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ნიკოლოზ დერიუგინმა მოახდინა. თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი უკვე შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებში. აღნიშნავენ ალექსანდრე ლინდინისა და გენადი კაპუსტინის კარგ თამაშსაც.

## ხელბურთი

კიევში გრძელდება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრე.

კიევის „სპარტაკმა“ ჯერ მოსკოვის „ლუჩი“ დაამარცხა ანგარიშით 25:14, შემდეგ დონის როსტოვის „როსტსელმაშს“ მოუგო (25:11), 50 ქულა დააგროვა და მიუწვდომელი გახდა დანარჩენ მეტოქეთათვის. კიეველებმა მეცხრედ მოიპოვეს ოქროს მედლები.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 16:18, „სპარტაკი“ (ბაქო) — „როსტსელმაში“ 12:11, „ლუჩი“ — „ჟალგირისი“ 26:16, „სპარტაკი“ — ინდუსტრიული ინსტიტუტი 12:15.

მომდევნო ადგილებზე არიან ბაქოს „სპარტაკი“ და ინდუსტრიული ინსტიტუტი — 33-33, „ლუჩი“ — 30, „როსტსელმაში“ — 29, „ჟალგირისი“ — 20.

## ჰოკეი

# ფილ ესპოზიტოს ინტერვიუ

ვენა (საქდესი). როგორც ცნობილია, ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით საბჭოთა კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მეორე მატჩი 6 მაისს გაიმართა. მაგრამ.., დავუბრუნდეთ 5 მაისს. აი, რა უთხრა იმ დღეს კანადის ნაკრების კაპიტანმა ფილ ესპოზიტომ გაზეთ „ნოიე კრონენტუნგის“ კორესპონდენტს:

„თხუთმეტი წელიწადია პროფესიონალი ჰოკეისტი ვარ. ამ ხნის მანძილზე წარმატებებთან ერთად მარცხიც ბევრჯერ ვიწვნიე. განსაკუთრებით მატკინა გული ბოლო წაგებამ საბჭოთა ნაკრებთან. მაგრამ კანადელებს აქვთ ერთი ისეთი თვისება, რაც მათ განასხვავებს ევროპელი ჰოკეისტებისგან: შეუძლიათ სწრაფად დაივიწყონ მათთვის უსიამოვნო შეხვედრები, მაგალითად, მატჩი, რომელიც ჩვენ წავაგეთ ანგარიშით 1:11. ერთი დღის შემდეგ ჩვენ ფრედ ვითამაშეთ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

ევროპის გუნდებისა კი, აი, რა მომწონს: ისინი თამაშობენ ლამაზად, ერთსულოვნად, ფანტასტიკური ოსტატობით ასრულებენ გადაცემებს. მაგრამ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ევროპელები თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ იმპროვიზაციას.

სწორედ ამაზე გვინდა ავაგოთ ჩვენი თამაში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ. შევეცდებით ჩავშალოთ მათი კომბინაციები შუა ზონაში. არ დავუშვებთ, რომ მათმა თავდასხმის მანქანამ მაღალი ტემპით იმუშაოს. მეტოქე გუნდის ყოველი წევრის მიმართ მივმართავთ პრესინგს, რათა ხელი შევუშალოთ გადაცემების ჩვეული სტილით განხორციელებაში. ჩვენი ძალისმიერი, შეიძლება ითქვას, მკაცრი იქნება. თუ მოწინააღმდეგე ყვანჯებით შემოგვიტევს ან ეცდება ფეხი დაგვიდოს, ჩვენც ასევე ვუპასუხებთ. თუ მატჩის მოსაგებად საჭირო იქნა, რომ ვინმეს ყელში ვწვდე, მე სწორედ ასე მოვიქცევი.

წინასწარ სიხარულს განვიცდი მომავალი მატჩის გამო. დარწმუნებული ვარ, ახლა ჩვენ ბევრად უკეთ ვითამაშებთ.

ვიცი, მატჩის სიმძიმე მე და ჩემს ძმას დაგვაწვება. მაგრამ ვფიქრობ, რომ გავიმარჯვებთ, თუ ჩვენ ორნი კარგად ვითამაშებთ. კანადის გუნდის წევრთა უმრავლესობა ახალგაზრდა და გამოუცდელია. მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან მატჩში, როგორიცაა შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან, ტონი და მე შევძლებთ დავრაზმოთ ჩვენი ბიჭები. საბჭოთა ჰოკეისტებთან პირველ მატჩში ჩვენი გუნდი კარგად თამაშობდა პირველ ათ-თხუთმეტ წუთს, მერე კი შევშინდით: საბჭოთა გუნდი ახლაც იგივე იყო, რაც 1972 წელს. ჩვენი მოთამაშეები კი მაშინ მხოლოდ 15-16 წლისანი იყვნენ.

ვენის ჩემპიონატში ჩვენ მატჩიდან მატჩამდე ვაუმჯობესებდით თამაშის ხარისხს და, შეიძლება უკეთ ვითამაშოთ შვედებთან გამარჯვების შემდეგ. ახლა ჩვენ ბევრად უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე კანადის თასზე ასპარეზობის დროს. მაშინ მხოლოდ თითო-ოროოლა გამოჩენილი ჰოკეისტი გვყავდა გუნდში. ახლანდელი სიტუაცია მაგონებს 1972 წელს, როცა აუცილებლად უნდა მოგვეგო ბოლო სამი შეხვედრა, რათა საბჭოთა გუნდისთვის გაგვესწრო, და შევძელით კიდეც ეს. ახლა უნდა მოვიგოთ ბოლო ორი მატჩი, რათა ჩემპიონატის ოქროს მედლები მოვიპოვოთ. და, ვფიქრობ, რომ შევძლებთ ამას.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო შვედებთან გამარჯვება (7:0) — ამან, ძალა შეგვმატა. ჩვენ ვნახეთ საბჭოთა ნაკრებთან ჩვენი პირველი მატჩის ვიდეოჩანაწერი და ვიცით, რა შეცდომები დავუშვით. საბჭოთა გუნდი არ არის დაუმარცხებელი, როგორც ეს რამდენიმე დღის წინათ გვეგონა. ჩვენ ახლა გვჯერა საკუთარი თავისა. საბჭოთა ჰოკეისტებს ალბათ შიშით აკანკალებთ მატჩის მოლოდინში და მერწმუნეთ, აქვთ კიდეც ამის საფუძველი.

ამ ჩემპიონატში ზოგიერთი რამ არ მომწონს. მაგალითად, აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ყვანჯით „ჩხვლეტა“ და წაკვრა. როცა ჰოკეის ეროვნული ლიგის მატჩებში მსგავსი რამ ხდება, მოთამაშე განზე ისვრის თავის ყვანჯს, იხდის ხელთათმანებს და საკითხს მუშტებით წყვეტს. აქ, ვენაში, ეს არ შეიძლება და ამიტომ იძულებული ვართ სხვებივით მოვიქცეთ, რაც გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე კეთილსინდისიერი მუშტი-კრივი.

ჩაფხუტით თამაში არ მომწონს. სისულელედ მიმაჩნია. თითოეულმა მოთამაშემ თავად უნდა გადაწყვიტოს ეს. ბოლოს და ბოლოს, თავი მე მეკუთვნის და არა საერთაშორისო ფედერაციას.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

31 მაისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი
(უმაღლესი ლიგა)

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი).

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 30 მაისს 10 საათიდან, საერთო გაყიდვა — 30 და 31 მაისს 10 საათიდან. ძალაშია აბონემენტის სერია „ად“.

## ფეხბურთი

### იუბილე... მეორე ლიგაში

ინგლისში ბევრი როდია ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე გუნდი, როგორიც „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ გახლავთ. ამას წინათ მას არსებობის 100 წელი შეუსრულდა და იუბილეც გადაიხადა. ზეიმს მხოლოდ ერთი რამ აყენებდა ჩრდილს. ახლა გუნდი, რომელიც წინათ ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი იყო, მეორე ლიგაში თამაშობს. ამასთან, „მგლები“ სრულიადაც არ ურიგდებიან არსებულ მდგომარეობას და შეუპოვრად იბრძვიან პირველ ლიგაში დაბრუნებისთვის.

### მხოლოდ ევროპელები

57 წლის ჟან პრუფი, ცნობილი ფრანგი სპეციალისტი, სათავეში ჩაუდგა ზაირის ნაკრებს, რომელიც მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში იბრძვის.

პრუფი ზედიზედ მეხუთე ევროპელი სპეციალისტია, რომელიც ზაირის ნაკრებს ხელმძღვანელობს. მანამდე ამ გუნდს წვრთნიდნენ ჩოვნადი (უნგრეთი), მარი (საფრანგეთი), ვიდინიჩი (იუგოსლავია) და სტანკულესკუ (რუმინეთი).

### ეს რა თანაშემწეები არიან!

დაახლოებით ასე განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა იდალგომ. საქმე ის არის, რომ იდალგოს თანაშემწეებად ოფიციალურად ითვლებიან ერბენი და პეიროში, მაგრამ მხოლოდ ფიქტიურად. პირველი მუშაობს საფრანგეთის უძლიერესი გუნდის „სენტ-ეტიენის“ უფროს მწვრთნელად და, როგორც ცნობილია, დიდ წარმატებებსაც აღწევს, პეიროში კი საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობს. იდალგოს ურთიერთობა ამ ორ სპეციალისტთან მხოლოდ ტელეფონით საუბრითა და აზრების ამ გზით გაცვლა-გამოცვლით ამოიწურება.

გასაგებია, რომ ახლა იდალგო ფედერაციისაგან ისეთი მწვრთნელის დანიშვნას მოითხოვს, რომელიც მისი „მარჯვენა ხელი“ იქნება.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. № 14. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 09890